ფორმულაში მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ(სამუშაო საათების რაოდენობა 2400):

ქვიშისათვის (5-0):

$$\text{მტვერიწამური} = 1,2 \times 0,01 \times 1,3 \times 0,7 \times 0,002 \times 1200 = 0,026208 \text{ გ/წმ};$$

$$\text{გმტვერიწლიური} = 0,026208 \times 1095 \times 3600 / 10^6 = 0,1033 \text{ ტ/წელ};$$

ღორღისათვის(10-5):

$$\text{მტვერიწამური} = 1,2 \times 0,01 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 3200 = 0,06 \text{ გ/წმ};$$

$$\text{გმტვერიწლიური} = 0,06 \times 1095 \times 3600 / 10^6 = 0,2365 \text{ ტ/წელ};$$

3.1.11 მინერალური ფხვნილის სილოსიდან ინერტული მტვრის გაფრქვევის ანგარიში;

ლიტერატურული წყარო [3]- ის მიხედვით მინერალური ფხვნილის პნევმოტრანსპორტიორით სილოსში გადატვირთვისას ხვედრითი მტვერგამოყოფა შეადგენს 0,8 კგ/ტ, ამიტომ საწარმოს პირობებიდან(გადატვირთული მინერალური ფხვნილის რაოდენობა შეადგენს 3420 ტონას), მტვრის გაფრქვევის წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

$$\text{გმტვ.წლიური} = 3420 \times 0,8/1000 = 2.736 \text{ ტ/წელი};$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ სილოსი აღჭურვილია სახელოებიანი ფილტრით, რომლის ეფექტურობა შეადგენს 99,99 %-ს, მაშინ

$$\text{გმტვერიწლიური} = 2.736 \times 0,01/100 = 0,00002736 \text{ ტ/წელი};$$

საწარმოს პირობების გათვალისწინებით(1095 სამუშაო საათი წელიწადში), წამური ინტენსივობა ტოლია:

$$\text{მტვერიწამური} = 0,00002736 \times 10^6/(1095 \times 3600) = 0,0000069 \text{ გ/წმ};$$

3.1.12 ემისიების ანგარიშში გამოყენებული ლიტერატურა

1. ატმოსფერულჰაერშიმავნენივთიერებათაზღვრულადდასაშვებიგაფრქვევისნორმებისგანგარიშებისტექნიკურირეგლამენტი. საქართველოსმთავრობისდადგენილება #408 2013 წლის 31 დეკემბერი;
2. Методика по расчету валовых выбросов загрязняющих веществ в атмосферу предприятиями минсевзапстроя рсфср. Москва 1990г;
3. დაბინძურებისტაციონარულიწყაროებიდანატმოსფერულჰაერშიგაფრქვევებისფაქტობრივ ირაოდენობისგანსაზღვრისინსტრუმენტულიმეთოდის, დაბინძურებისტაციონარულიწყაროებიდანატმოსფერულჰაერშიგაფრქვევებისფაქტობრივ ირაოდენობისდამდგენისპეციალურიგამზომ-საკონტროლოაპარატურისსტანდარტულიჩამონათვალისადადაბინძურებისტაციონარული

წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტორივირაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება #435 2013 წლის 31 დეკემბერი;

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №38/ნ2003 წლის 24 თებერვალი;
5. Методическое пособие по расчету выбросов от неорганизованных источников в промышленности строительных материалов, Новоросийск 2000г;

3.2 ხმაურის გავრცელება

საწარმოს საქმიანობის პროცესში ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოდგენს ტექნოლოგიური დანადგარების და ტერიტორიაზე ტექნიკის გადაადგილება. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების თეორიული გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრა ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- განისაზღვრა ხმაურის გავრცელების მიმართულება ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე. შესრულდა გარემოს ელემენტების აკუსტიკური გაანგარიშებები, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგავი და ა.შ.);
- განისაზღვრა ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და მოხდა მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გამომწვევი იქნება სამსხვრევი დანადგარი, სატრანსპორტო საშუალებები და ასფალტბეტონის ქარხანა, რომელთა ხმაურის გავრცელების ჯამური დონე, საწარმოს ტერიტორიაზე არ აღემატება 90 დბ-ს

გაანგარიშებისას დაშვებულია ყველაზე პესიმისტური სცენარი, როცა ხმაურის ყველა წყარო იმუშავებს ერთდროულად.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები, გაიანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega, \quad (1)$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

W – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: W = 4p-სივრცეში განთავსებისას; W = 2p- ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; W = p - ორ წიბოიან კუთხეში; W = p/2 – სამ წიბოიან კუთხეში; ba – ატმოსფეროში ბგერის მიღვეადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, H3ც.	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
β _a დბ/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით:

$$10\lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}}(2)$$

სადაც: L_{pi} – არის i-ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

1) თუ ერთ უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია ერთ n ჯგუფში. მათი ჯამური ხმაურის დონე დათვლილია ფორმულით: $10\lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}}$;

2) ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება (მანძილის საცხოვრებელ სახლამდე შეადგენს 140 მ-ს);

3) სიმარტივისთვის გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: β_{საშ}=10.5 დბ/კმ;

მონაცემების მე-2 ფორმულაში ჩასმით მივიღებთ საწარმოო ტერიტორიაზე მოქმედი ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის მაქსიმალურ ჯამურ დონეს, ანუ ხმაურის დონეს გენერაციის ადგილას:

$$10\lg \sum_{i=1} 10^{0,1L_{pi}} = 10\lg (10^{0,1 \times 90} + 10^{0,1 \times 60} + 10^{0,1 \times 70}) = 90,048 \text{ დბა.}$$

საწარმოს საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი გვხდება დაახლოებით 140 მ მანძილის დაშორებით. საანგარიშო წერტილში ხმაურის დონის გაანგარიშება ხდება პირველი ფორმულის გამოყენებით:

$$L = L_p - 15\lg r + 10\lg \Phi - 10\lg \Omega = -15\lg 140 + 10\lg 2 - 10.5 \cdot 140/1000 - 10 \times \lg 2\pi = 48 \text{ დბა.}$$

ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან გაანგარიშებით მიღებული მნიშვნელობა იქნება 48 დბა, მიღებული შედეგი არ აჭარბებს საქართველოს მთავრობის 398 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს (დადგენილებით დაშვებული ნორმა დღის საათებში არის 50 დბა). აქვე გასათვალისწინებელია, რომ საწარმოსა და საცხოვრებელ სახლს შორის არსებობს ბუნებრივი ბარიერი მტის სახით, რც 10-15 დეციბელით კიდევ შეამცირებს მოსალოდნელ ხმაურს და საცხოვრებელ სახლთან, მოსალოდნელი ხმაურის დონე იქნება 38 დბ.

3.3 ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, საწარმოს განთავსებისთვის შერჩეული იქნა ლიცენზიის კონტური რომელიც მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მამკოდაში, მდ. გლანის ხევის მარჯვენა სანაპიროზე, რომელიც ემიჯნება დაცულ ტერიტორიას „თბილისის ეროვნული პარკი“.

„თბილისის ეროვნული პარკის“ ბიოლოგიური გარემო წარმოდგენილია ფლორა წარმოდგენილია 675 სახეობის ბალახოვანი და მერქიანი მცენარეული საფარით. ეროვნული პარკის ტყის საფარში ძირითადად გვხვდება - ქართული მუხის, წიფლის, რცხილის, ჩვეულებრივი იფნის, ჯაგრცხილისა და პანტის ტყის ეკოსისტემები.

ქვეტყეში გვხვდება: კუნელის, შინდის, ზღმარტლის, ჭანჭყატის, თრიმლის და სხვა დასახელების ბუჩქები.

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე ნაირფეროვან ბალახოვან საფარს, წივანას სხვადასხვა სახეობები ქმნის. წივანასთან ერთად გვხვდება: ტყის თაგვისარა, კრაზანა, ბრძამი, ჩვეულებრივი თავშავა და სხვა მცენარეები. ბალახოვან მცენარეულობაში დიდი როლდენობით არის წარმოდგენილი სამკურნალო მცენარეებიც.

პარკში ხელოვნურად არის გაშენებული ფიჭვნარები და უნიკალური უთხოვრის კორომები. თბილისის ეროვნულ პარკში ტყეებს ვერტიკალური ზონალობა ახასიათებთ.

საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობებიდან, თბილისის ეროვნულ პარკში გავრცელებულია: ბუზა (*Buxus colchica*), უთხოვარი (*Taxus baccata*), შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra*), პატარა თელადუმა (*Ulmus glabra*), კაკალი (*Juglans regia*), პონტოს მუხა (*Quercus pontica*) და სხვ.

ენდემური და რელიქტური სახეობები: თბილისის ეროვნული პარკის დენდროფლორა იმითაც არის საინტერესო, რომ აქ გავრცელებულია მესამეული პერიოდის კოლხეთის ფლორის წარმომადგენლები: კოლხური ჭყორი, კოლხური და პასტუხოვის სურო, აღმოსავლეთის ძახველი, თაგვისარა, უთხოვარი, კავკასიური დეკა, წყავი და სხვა.

ფაუნა: თბილისის ეროვნულ პარკში მუძუმწოვრებიდან გავრცელებულია: მელა, მგელი, შველი, კურდღელი, ტყის კვერნა და სინდიოფალა. დიდი მტაცებლებიდან მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ფოცხვერი და მურა დათვი. ადრე საგურამოს ნაკრძალი კავკასიური კეთილშობილი ირმის პოპულაციით იყო განთქმული.

თბილისის ეროვნული პარკში შეხვდებით ორნითოფაუნის სხვადასხვა წარმომადგენლებს: ჩხიკვს, შაშვს და რამდენიმე სახის კოდალას. მტაცებელი ფრინველებიდან პარკში გავრცელებულია მიმინოს სახეობა.

პარკის ტერიტორიაზე ქვეწარმავლის 12 სახეობა გვხვდება. მათგან ყველაზე გავრცელებული გველბოკერაა. აქ ასევე შეიძლება ნახოთ: უბრალო ანკარა, ჩვეულებრივი ყვითელმუცელა მცურავა და სპილენძა გველი.

საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: ეროვნული პარკის ტერიტორიაზე იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებიდან შეიძლება დავასახელოთ: კეთილშობილი ირემი, მურა დათვი, ფოცხვერი.

ფრინველებიდან „წითელი ნუსხის“ წარმომადგენლები არიან: ბეგობის არწივი, დიდი მყივანია არწივი და ქორცქვიტა.

ენდემური სახეობები:თბილისის ეროვნულ პარკში წვრილი ძუძუმწოვრების 46 ენდემური სახეობაა გავრცელებული. მათგან აღსანიშნავია: ჩვეულებრივი ციყვი (*Sciurus vulgaris*), ველის თაგვი (*Mus macedonicus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), აღმოსავლეთევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor*), კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*) და სხვ.

მიუხედავად იმისა რომ საპროექტო ტერიტორია ემიჯნება „თბილისი ეროვნულ პარკს“ ტერიტორიაზე, ცხოველთა ველური სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს. საპროექტო ტერიტორიაზე შეიძლება მოხვდეს მხოლოდ სინანტროპული სახეობები, რომლებიც ადაპტირებული არიან ურბანულ და ტექნოგენურ გარემოსთან. ნეგატიური ზემოქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს ნარჩენების არასწორი მართვის და სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებასთან. პროექტის ფარგლებში ხე-მცენარეების ჭრა დაგეგმილი არ არის, შესაბამისად ამ მხრივ ზემოქმედება მოსალოდნელია არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ტერიტორია ემიჯნება დაცულ ტერიტორიას „თბილისი ეროვნულ პარკს“ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხდებოდა ქვიშ-ხრემის მოპოვების სამუშაოები, ასევე ობიექტების განთავსების ქვედა ნაწილში (მდინარის მიმართულებით) ვხვდებით სხვადასხვა კერძო ობიექტებს, ისეთი როგორც არის საქმიანი ეზოები, რაც იწვევს დროთა განმავლობაში არსებული ჰაბიტატის შეგუებას ტექნოგენურ გარემოსთან, შესაბამისად დამატებით ისეთი დროებითი ნაგებობები, როგორც არის სამსხვრევი და ასფალტ-ბეტონის ქარხანა მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს დაცული ტერიტორიის ბიოლოგიურ გარემოზე.

რაც შეეხება წყლის ბიომრავალფეროვნებას, მდ. გლდანისხევი წარმოადგენს სეზონურ ხევს და მასში წყალი მოედინება მხოლოდ ატმოსფერული ნალექების პირობებში. შესაბამისად, მდ. გლდანისხევიში თევზები და სხვა წყლის ბიომრავალფეროვნება არ გვხვდება.

3.4 ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს საქმიანობის პროცესში, ადგილი ექნება როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სამსხვრევი დანადგარის მუშაობა და ასფალტ-ბეტონის ნარევის დამზადება საწარმოო ნარჩენების წარმოქმნასთან არ არის დაკავშირებული. ასფალტის წარმოებისას ასფალტ-ბეტონისა და ბიტუმის ნარჩენები, ასევე აირმტვერდამჭერში შეკავებული შეწონილი ნაწილაკები, ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენებიდან აღსანიშნავია:

- ზეთების ნარჩენები;
- ზეთის ფილტრები;
- სახიფათო ნარჩენებით დაბინძურებული გრუნტი;
- საღებავის ტარა;
- საბურავები;
- ჯართი;
- შედუღებისას წარმოქმნილი ელექტროდების ნარჩენები. არასახიფათო ნარჩენი:
- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- შერეული ლითონები;
- შედუღებისას წარმოქმნილი ნარჩენები და სხვა.

დღეისათვის საწარმო არ არის ექსპლუატაციაში, შესაბამისად, არც სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას აქვს ადგილი. საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, საწარმოში განთავსდება

კონტეინერი ნარჩენებს დროებითი დასაწყობებისთვის, ტერიტორიაზე ასევე განთავსდება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებისთვის გათვალისწინებული ურნები.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მუნიციპალური ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, სახიფათო ნარჩენების გატანს ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანია. საქმიანობის მასშტაბების და სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი რაოდენობის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ აღემატება 120 კგ-ს და „ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის N 661 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2025 წლამდე საწარმო თავისუფლდება კომპანიის ნარჩენების მართვის შემუშავებისგან.

3.5 ზემოქმედება წყლის გარემოზე

მდინარე გლდანისხევს სათავე აქვს საგურამოს ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1162 მეტრ სიმაღლეზე. მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ- დასავლეთისაკენ და მდ. მტკვარს ერთვის ავჭალასთან.

მდინარე გლდანისხევი, რომელიც იწყება ლელუბნის ხევიდან, იერთებს რა მშრალიხევის წყლებს მიედინება მამკოდისაკენ და შემდეგ სოფელ გლდანის გავლით ჩაედინება მტკვარში. აღნიშნულ მონაკვეთში, ანუ გლდანისხევის ზემოთში, ვიდრე მშრალიხევთან შერთვამდე მდინარე ცნობილია როგორც „ლელუბნისხევი“ (ამ მონაკვეთში იგი ვიწროა და ტყითაა შემოსილი), ქვემო მონაკვეთში კი „გლდანულა“ ეწოდება. ადგილობრივები მას „რიყეს“ ეძახიან. სხვადასხვა ლიტერატურაში ის მოხსენიებულია, როგორც „ლელუბნისწყლის“ ასევე „გლდანისწყლის“ სახელით.

მდინარე გლდანისხევის საერთო სიგრძეა 17 კილომეტრი, აუზის ფართობი 63.0 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნა-ზაფხულში და შემოდგომაზე. ახასიათებს წყლის მცირე ხარჯი, რაც აიხსნება მისი წყლის გამოყენებითა და ცოტა შენაკადებით. გლდანისხევის ხეობა შუა და ქვემო დინებაში ვრცელია, აქვს დაბალნაპირებიანი კალაპოტი. გლდანისხევს ერთვის 9 მცირე შენაკადი. წყლის საშუალო წლიური ხარჯია 0.21 მ³/წმ. მდინარის მარჯვენა მხარეზე გაშენებულია თბილისის უბანი ავჭალა, მარცხენა მხარეზე კი უბანი გლდანულა. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ვახუშტის მთავარ შრომაში მდინარე მოიხსენიება როგორც „გრდანის მდინარე“.

გლდანისხევს რამდენიმე შენაკადი აქვს, რომლებიც მცირეწელიანობით ხასიათდება, ზაფხულის თვეებში კი თითქმის შრებიან.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, წყლის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადად საჭიროა სასმელ-სამეურნეო, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისა და ცხელ ამინდებში ტერიტორიის მოსარწყავად, რისთვისაც ტერიტორიაზე განთავსდება წყლის სამარგო რეზერვუარი. სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ბუტილირებული წყლით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვისთვის მოეწყობა ბიოტუალეტები.

რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, სანიაღვრე წყლების ყველა პოტენციურად დამაბინძურებელი წყაროები განთავსებული იქნება გადახურვის ქვეშ, შესაბამისად სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება. როგორც მიწისქვეშა, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტზე პირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ავარიულ სიტუაციებთან, სხვა მხრივ ტექნოლოგიური პროცესი წყლის გარემოზე ზემოქმედებას არ გულისხმობს.

3.6 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობისა, საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბების გათვალისწინებით, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

3.7 ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

დაგეგმილი საქმიანობა გარკვეულწილად გამოიწვევს დროებით ვიზუალურ ცვლილებას, რაც დაკავშირებული იქნება შპს „ენკოს“ მიერ მოსაწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან. ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა არის მოკლე ვადიანი, ვიზუალური ცვლილებაც მოხდება მხოლოდ 16 თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც დასრულდება კომპანიის მიერ გზის დაგების სამუშაოები, მოხდება დანადგარების დემონტაჟი და ტერიტორიაზე დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

3.8 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე

ვინაიდან საპროექტო დანადგარ-მოწყობილობების მონტაჟი იგეგმება მდ. გლდანისხევის კალაპოტის სიახლოვეს, სადაც მდინარის მიერ ჩამოყალიბებულია ტექნოგენური ლანდშაფტი, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე. რაც შეეხება გრუნტზე ზემოქმედებას, ამ მხრივ ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ნარჩენების არასწორ მართვასთან და გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებების მიერ ნავთობპროდუქტების დაღვარსთან, ასევე დიზელგენერატორიდან დიზელის გაჟონვასთან. აღნიშნული ზემოქმედებების თავიდან არიდების ანდა შემცირების მიზნით, კომპანია მუდმივად გაკონტროლების ნარჩენების მართვის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხს, რაც შეეხება დიზელ-გენერატორს, ის განთავსდება მობეტონებულ პლათფორმაზე ნავთობპროდუქტების დაღვრის შემცირების მიზნით.

3.9 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე

როგორც ზედა თავებში აღინიშნა, დაგეგმილი საქმიანობა არის მცირეხნიანი და მოემსახურება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-30) თბილისი (გლდანი) - თიანეთის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 21+000 სარეაბილიტაციო სამუშაოებს, შესაბამისად ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შერჩეული ლოკაცია, ხელსაყრელია საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტურად განსახორციელებლად და ასევე თავიდან გვარიდებს შორი მანძილიდან მასალების ზიდვით მოსალოდნელ ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე. მცირე ხნით მობილიზაციის ეტაზე მოხდება სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედება, იმ დროს როდესაც მოხდება საჭირო დანადგარ მოწყობილობების და სხვადასხვა საჭირო პროდუქტების ტერიტორიაზე

შემოტანა, ამისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 2-3 კვირა, შემდგომ სატრანსპორტო ნაკადზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება უშუალოდ თბილისი (გლდანი) - თიანეთის გზაზე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობით, ამ მიმართულებით ზემოქმედება გარდაუვალია, თუმცა მცირეხნაანი, რადგან სამშენებლო სამუშაოები პიკეტების მიხედვით განხორციელდება ორგანიზებულად.

3.10 ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე

საპროექტო ტერიტორიიდან, უახლოესი არქიტექტურის ძეგლი „წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია“ , დაშორებულია 1,4 კმ-ის. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ განსახილველი უბნის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის და საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა პრაქტიკულად მომავალშიც პრაქტიკულად არ არსებობს, სამშენებლო ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლინების შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, კომპანიაშეწყვეტს სამუშაოებს და შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს.

3.11 კუმულაციური ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში არ გვხდება ისეთი საქმიანობები, რომლებმაც შესაძლო კუმულაციური ზემოქმედება მოახდინონ დაგეგმილ საქმიანობასთან, შესაბამისად ამ მხრივ ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

3.12 მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერი მასშტაბის ტექნოგენურ ავარიებზე და ინციდენტებზე, აგრეთვე სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და ლიკვიდაციის პროცესში პერსონალის ქმედებების რაციონალურად, კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვა, პერსონალის, მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანებია:

- დაგეგმილი საქმიანობის დროს მისი სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი ავარიული სახეების განსაზღვრა;
- თითოეული სახის ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფების შემადგენლობის, მათი აღჭურვილობის, ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმის და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- შიდა და გარე შეტყობინებების სისტემის, მათი თანმიმდევრობის, შეტყობინების საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა და ავარიული სიტუაციების შესახებ შეტყობინების (ინფორმაციის) გადაცემის უზრუნველყოფა;

- შიდა რესურსების მყისიერად ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების დადგენილი წესით მობილიზების უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების საორგანიზაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საკანონმდებლო, ნორმატიულ და საწარმოო უსაფრთხოების შიდა განაწესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები შეიძლება იყოს:
 - დამაბინძურებლების ავარიული დაღვრის რისკები;
 - ხანძარი;
 - პერსონალის დაშავება (ტრავმატიზმი).

3.13 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება

საწარმოს ექსპლუატაციით მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებაა. ზემოქმედების დანარჩენი სახეები, არ გასცდება საწარმოს ტერიტორიას. საწარმოს ტერიტორიაზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი რეგულირდება „ტექნიკური რეგლამენტი – სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზდკ)“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N70 დადგენილებით.

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, აღნიშნული რეგლამენტი დამტკიცებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შრომის ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისა და პროფესიული დაავადებების პროფილაქტიკისათვის გასატარებელ ღონისძიებათა ხელშესაწყობად, ჰიგიენური ნორმატივები შედგენილია აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, რეგლამენტირების სპეციფიკურობის პრინციპით. საწარმოს ტერიტორიაზე, ატმოსფერული ჰაერის ხარის შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტებთან, რაც გვამდევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ მხრივ, საწარმოში დასაქმებული ადამიანები უსაფრთხოდ იქნებიან. ასევე კომპანია გააკონტროლებს შრომის უსაფრთხოების წესებს, ყველა დანადგარ-მოწყობილობასთან მუშობისას, დასაქმებული ადამიანების აღჭურვილი იქნებიან, შესაბამისი დამცავი საშუალებებით.

რაც შეეხება დასახლებულ პუნქტებს, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის “თანახმად, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწის პირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს“, ხოლო „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“, ამავე ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, არის „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული


პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას“.


აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადამიანებზე ზემოქმედება ნაკლებად მოსალოდნელია.

3.14 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

პროექტის ფარგლებში, მცირე ხნით მაგრამ მოსალოდნელია დადებითი ზემოქმედება ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, რადგან კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია დასაქმების შესაძლებლობებთან. პროექტის განხორციელების არცერთ ეტაპზე, ფიზიკური ან/და ეკონომიკური განსახლება არ არის მოსალოდნელი.

4 დანართი N1 - ლიცენზია, გეოსაინფორმაციო პაკეტი და ლიცენზიის გადაცემის შესახებ ბრძანება


 საქარო სამართლის იურიდიული პირი
**მინერალური რესურსების ეროვნული
 სააგენტო**


 KA020197605095722

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ლიცენზია - ბრძანება № 90
10 / ოქტომბერი / 2022 წ.

**შპს „სმარტ სოლუშენს“-ზე (ს/ნ 405114406) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების
 ლიცენზიის გაცემის შესახებ**

„ლიცენზიისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიკენზიის გაცემის სანყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 2 მარტის №1 და 2022 წლის 24 აგვისტოს №99ნ ბრძანებების, 2022 წლის 12 სექტემბერს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის შედეგად მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „სმარტ სოლუშენს“ (განაცხადის №4690TH22), ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა 33 045 მ³, ლიცენზიის მოქმედების ვადა 2 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 77896.90 ლარი) შედეგებისა და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიყვან შპს „სმარტ სოლუშენს“-ზე (ს/ნ 405114406) მცხეთის მუნიციპალიტეტში, შამკო-უდას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, მდ. გლდანის ხევის ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 2 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუნესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 22 030 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ქვიშა-ხრეშის (P კატეგორია) ჯამური მოცულობა ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვროს 33 045 მ³. ის ოდენობით;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;

დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორება-მოწესების მიმართულებით;

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით შემოვლითი გზებით და არაა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 13 ივნისის N:2-03/8776 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებით სამუშაოების წარმოება განახორციელოს „ბი-პი საქართველოსთან“ წინასწარ შეთანხმებული პროექტის საფუძველზე;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „საქართველოს გამის ტრანსპორტირების კომპანიის“ 2022 წლის 27 მაისის №1-671 ნერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტოპობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გამის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააშინოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაშიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დამიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ნ) ექსპლუატაციისას შეწყვეტილი პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოლოგიური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ო) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი საშოო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

პ) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის № 271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ლიცენზია-ბრძანების პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

რ) ლიცენზიის მფლობელმა ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;


ს) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ლიცენზია-ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ტ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 851, 16.05.2022 წ. (ID_50623_54148) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოლოგიური ინფორმაციის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. ლიცენზია-ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.
3. ლიცენზია-ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსი


დასამართლებელი
ელმსახურეობა 

ანდრო ასლანიშვილი

Attention to:

კონსტრუქციის პროექტი

54148_50623_ID_2022

პოზიცია	საინჟინერო-კონსტრუქციული აღწერა																																																															
1	წიაღთსარგებლობის ობიექტი - შვ. კლდის ხევის ქვის-სრქის გამოყვანა																																																															
2	გეგმური ტიპი - დახლეჩი (აღლეთი)																																																															
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - სამშენებლო																																																															
4	წიაღთსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																																																															
4.1	რეგიონი - მცხეთა-მთიანეთი																																																															
4.2	მუნიციპალიტეტი - მცხეთა																																																															
4.3	ადმინისტრაციული ერთეული - მამკოლა																																																															
4.4	უახლოესი დასახლებული პუნქტი - ხოჯული მამკოლა																																																															
4.5	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რ/კ მცხეთიდან - 10-11 კმ (სირდაპირი მანძილი)																																																															
4.6	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს																																																															
4.7	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - შვ. კლდის ხევი																																																															
4.8	წიაღთსარგებლობის ობიექტის კოორდინატები -																																																															
	<table border="1"> <thead> <tr> <th>N</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr><td>1</td><td>486962.7</td><td>4630517</td></tr> <tr><td>2</td><td>487082.8</td><td>4630578</td></tr> <tr><td>3</td><td>487172.0</td><td>4630628</td></tr> <tr><td>4</td><td>487255.0</td><td>4630651</td></tr> <tr><td>5</td><td>487363.6</td><td>4630648</td></tr> <tr><td>6</td><td>487437.3</td><td>4630644</td></tr> <tr><td>7</td><td>487505.4</td><td>4630650</td></tr> <tr><td>8</td><td>487514.9</td><td>4630620</td></tr> <tr><td>9</td><td>487453.9</td><td>4630620</td></tr> <tr><td>10</td><td>487347.3</td><td>4630635</td></tr> <tr><td>11</td><td>487288.4</td><td>4630605</td></tr> <tr><td>12</td><td>487234.4</td><td>4630589</td></tr> <tr><td>13</td><td>487180.4</td><td>4630586</td></tr> <tr><td>14</td><td>487131.7</td><td>4630572</td></tr> <tr><td>15</td><td>487113.4</td><td>4630555</td></tr> <tr><td>16</td><td>487080.6</td><td>4630520</td></tr> <tr><td>17</td><td>487034.0</td><td>4630491</td></tr> <tr><td>18</td><td>486981.8</td><td>4630454</td></tr> <tr><td colspan="3">S = 22 030 კვ.მ</td></tr> <tr><td colspan="3">WGS 1984</td></tr> </tbody> </table>	N	X	Y	1	486962.7	4630517	2	487082.8	4630578	3	487172.0	4630628	4	487255.0	4630651	5	487363.6	4630648	6	487437.3	4630644	7	487505.4	4630650	8	487514.9	4630620	9	487453.9	4630620	10	487347.3	4630635	11	487288.4	4630605	12	487234.4	4630589	13	487180.4	4630586	14	487131.7	4630572	15	487113.4	4630555	16	487080.6	4630520	17	487034.0	4630491	18	486981.8	4630454	S = 22 030 კვ.მ			WGS 1984		
N	X	Y																																																														
1	486962.7	4630517																																																														
2	487082.8	4630578																																																														
3	487172.0	4630628																																																														
4	487255.0	4630651																																																														
5	487363.6	4630648																																																														
6	487437.3	4630644																																																														
7	487505.4	4630650																																																														
8	487514.9	4630620																																																														
9	487453.9	4630620																																																														
10	487347.3	4630635																																																														
11	487288.4	4630605																																																														
12	487234.4	4630589																																																														
13	487180.4	4630586																																																														
14	487131.7	4630572																																																														
15	487113.4	4630555																																																														
16	487080.6	4630520																																																														
17	487034.0	4630491																																																														
18	486981.8	4630454																																																														
S = 22 030 კვ.მ																																																																
WGS 1984																																																																
																																																																
4.9	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 500-600 მ																																																															
4.10	კლიმატური პირობები - კონტინენტური																																																															
5	ხელისშემწველი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																																																															
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერძიდან - 25 მ (გზის დეპარტამენტის ბელანსი)																																																															
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან - აღემატება 1 კმ-ს.																																																															
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტიდან - ობიექტიდან 160 მ-ში მდინარის კლდის კუთხის ბაქო-ხევის მდინარის სოფლი 130 მ, 190 მ, 2230 მ-ში - გასხადენები.																																																															
5.4	დამატებითი მონაცემები -																																																															
6	სატყეო რესურსები																																																															
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში - არ ფიქსირდება																																																															
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური - არ ფიქსირდება																																																															
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები -																																																															

12.1	წილისსარგებლობის ობიექტის მიწველოვება - ხალიცხხორ ობიექტი (ქვიშა-ხრეში) მდებარეობს მდ. კალაბის ხევის ქალაქკალაბოტში, რამდის სიჩაგე ობიექტის კონტურში და მის მასშტაბზე არ აღემატება 60-80 მეტრს.
12.2	წილისსარგებლობის ობიექტის და მამულებზე ტერიტორიის საინჟინერო-გეოლოგიური პარამეტრების სიროულეს კატეგორია - ობიექტზე ინჟინერული მასალა წარმოადგენდა ობიექტის მიწველოვება - კატარქესხორი, ხრეში, ქვიშა და ობიექტის შესახებ. საინჟინერო-გეოლოგიური პარამეტრების სიროულეს მსხველი ტერიტორია შედგენება I (მარტივი) კატეგორიის.
12.3	წილისსარგებლობის ობიექტის და მამულებზე ტერიტორიის გეოინჟინერული სიტუაცია (მიწველოვება ქვიშა-ხრეში შემთხვევაში ნაპირების უროსა; კალაბოტში წარმოქმნილი გარტი ბუნებრივი და სხვა) - წარმოქმნილი აქტივაციური დასაჯოვება.
12.4	წილისსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მონალოდნელი გეოინჟინერული გართულებები - მონალოდნელი არ არის.
12.5	გეოინჟინერული გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - ინჟინერული მასალის მოთხება უნდა განხორციელდეს კალაბოტის გასწორხასხელების მიხაროვლებით.
12.6	დასჯელები და რეკომენდაციები - <ol style="list-style-type: none"> 1. ხალიცხხორ ობიექტი მდებარეობს მქსელის შესიციბალოვების მასკოდის აღმოსორციელი უროვლის ტერიტორიაზე, მდ. კალაბის ხევის ქალაქკალაბოტში. 2. საინჟინერო-გეოლოგიური პარამეტრების სიროულეს მსხველია, ობიექტის ტერიტორია შედგენება I (მარტივი) კატეგორიის. 3. მოთხება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წილის სარგებლობის ტექნოლოგიური სქემის მსხველით. 4. ინჟინერული მასალის მოთხება უნდა განხორციელდეს კალაბოტის გასწორხასხელების მიხაროვლებით. 5. ხალიცხხორ ობიექტის 25 მეტრში ყოქმარდება უსების უკარტაგენტის, ბაღანსე რიცხული უსა, 130 მეტრში, 190 მეტრში და 2230 მეტრში მდინარის კალაბოტის კვლის გასალოდნება, ხოლო 160 მეტრში მდინარის კალაბოტის კვლის ბაღანსევის მდინარეში, ღალიცხხორის უროვლის აღმოსავლი ხეობები უნდა შეიქმნა შესახა-მის ხამხარეობაზე. 6. წილის სარგებლობის ღალიცხხორის ექსპლუატაციის დასჯელების ხაოთის უნდა შეიქმნა შესახა-მის უსაბაზის. 7. აღმოსავლი რეკომენდაციების ტექსტი 3-6 პოქმარდისწინებით ხალიცხხორ ობიექტზე წილისსარგებლობის მოთხება არ გამოწვევს არსებული გეოინჟინერული სიტუაციის გაჯანსაღებას.
13	გეოლოგიური ინჟინერიის მომხარების გამოყენებული ფონდური და ბუნებური მასალა
13.1	გეოლოგიური ინჟინერიის (ან წილის) ატორი (ატორები) - 1. ა. გამქრელიძე, ა. ხასორავა 2. მ. ყოქმარე და სხვები.
13.2	ინჟინერიის შედგენის (გამოცემის) ატორი (გამომცემლობა) და წილი - 1. 1957 წ. 2. 1985 წ.
13.3	ინჟინერიის ფონდური (საბიბლიოთეკა) ინჟინერული № - 1, №9750; 2. №16906

შეწვევლებები:

ა. ხასორავა, ბ. ბაქრაძე, გ. მურმელიძე, დ. კალაბოტ, ე. ტყეშელაშვილი, ვ. რაბაქიძე

შეიქმნა
 საინჟინერო-გეოლოგიური მარტივის
 ტექნიკის უროსი



მერაბ ხალიცხხორი

